




ქალთა ბანაობა.



ბანაობის სანახაობა.



აუზის სანახაობა, სადაც სამკურნალო ტაბაში ამოდის.



ახტალიდან ამოსულს გაზს ცეცხლს უკიდებს.




ბანაობა.




ახტალის საერთო სანახაობა.



სოფლის დედაკაცები სამკურნალო შუალს ათბობენ.



აუზში კამეჩები ჩაწოლილან.



ამ გეგმის მიხედვით-მოხვეულ ხაზით შემოფარგლულს ნაწილში ნაცრის ფერი სამკურნალო ტაბაში ამოდის ოდნავ ნელობილი. მის ირგვლივ მუქად აღნიშნული ადგილი ტყიანია. სულ ბაკად აღნიშნული ახტალის მშრალი გადმოღვრილი ტაბაშია, დასავლეთის და ჩრდილოეთის შავი ხაზი თელავსა და სიღნაღში მიმავალი ნაკეთები გზაა. ახტალა რამდენსამე ერთმანეთიდან მუდმივად დაშორებულ აუზებზედ არის დაყოფილი. ზოგში ქალები ბანაობენ, ზოგშიც ვაჭარობენ.

ლეილ-გეჯუნიანი

სპარსული პოემა ლექსად თარგმნილი მეფის თეიმურაზ პირველის მიერ.

III

მიჯნუნისაგან ლეილის გამიჯნურება.

- 20. ვინც ეშს მიჰყვა, ის უთუოდ ეშმაკისგან განიცადა, სულ გაშმაგდა რა-მიჯნუნთან მისი მკვლელი განიცადა. წარგისთავან სასიკვდილო გულს ლახვარი გაიცადა იტყოდა თუ. ჩემთან მზემან სრა-სამყოფი გაიცადა
- 21. ერთს წიგნზედა ისწავლიდეს ალიფთა და გინა ჯიბთა*) ყრმა სურვილსა გაეშტერა, ვით პირველ სთქვეს მუნიჯიბთა. ის უჭკვერტდის მეღნის ტბათა, მას გარინდოთ რაზმ წყობილთა; თეთრ-წითელი ეღვა კრთოდა მოცინარე ბაგე-კბილთა.
- 22. ველარ მალავს. სურვილისა მიჯნუნს ცეცხლი მოეზოდა. რა შეატყო მიჯნურობა, გაურისხდა მეტად მოლა. შეიპყრა და სცემდა მწარედ, თუმცა უნდა ჩაექოლა! სთქვა: მოგვლავდი უცილობლად თუ ყმა იყოს ჩემი ქოლა.
- 23. ყმა გააგდო; ეგრე უთხრა: „მამეცალე უჭკოვ, ხელი“, ქალი დედას მიუგვარა; ხმა გავარდა ავ-სახელი. ლეილისა დედამამასა სწვავს სირცხვილის ცეცხლი მწველი მიჯნუნს მიხვდა გაყრის ჭირი, გულსა—სევდა მოუღხენი.
- 24. დედა ეტყოდა ტირილით ქალსა: „რა მიყავ შეილო; და თავი მომკვეთე, გამხადე არაბთა სასაცილოდა, შენი შერცხვენა ვით გავსდლო“, თვალთავან ცრემლი მილოდა, „შენც მოგვლავ, თავსაც მოვიკლავ, იცოდე, მე უცილოდა.“
- 25. „ჯერ ქალი ხარ გაუწვრთნელი შენ ვინა და ეშვი ვინა „შენებრ შეილომან უწრფელომან დედამამანი მოაყენა, „საყვედურმან ენამკვეთრმან დაჭრა გული, გამისივნა; „რად გავზავნე სასწავლოში, არ გამყოფე ჩემსა წინა!“
- 26. „ვთქვით მოგვესწრა ჩვენ ასული, ალვა ნორჩი გვენაყოფის, „პირად მზე და ბაგე ვარდი, ჩვენთვის ლხინად ეს გვეყოფის; „მიცეთ ვისმე შესაფერსა, ჭირნი შუა გავგვეყოფის! „დაიდრახე, მოგვაყივნე, თავი აღარ გავგვეყოფის!“
- 27. ქალმან უთხრა მას პასუხი ტურფა რამე, არა ცუდი; ჰგვანდა, ხმობდა საფირონი პირსა მისსა დანაბუდი; თავს მართლობდა უცხოდ, რამე მართალს სჯობდა მისი მრუდი; ლონეს რამეს ედებოდა, ის არ გატყდა ვითა ქურდი:
- 28. „ვიცი, მიწყრები დედაო, მე შემცოდე ვარ თურევე, და! „მიბრძანე, ეშვი რა არის ხმელზე დვას ანუ ცურევედა? „ფრინველია თუ ნადირი, ფერად თეთრი თუ მურევედა? „ხილი არის თუ ყვავილი? წალკოტსა შიგან ურევედა?“
- 29. „ამბობთ. მესმის. ვერ მიმხვდარვარ თუ რას ჰქვიან მიჯნურობა; „თქვენ გამგზავნეთ სასწავლოსა თვით ვით მექმნა მე ურჩობა?! „თუ ყმამ რამე დააშავა, მოჰქლან, არ ვქნა მე სარჩლობა, „ამის მეტი არა ვიცი, გამიბედოთ რომ დარჩობა?“
- 30. დედა შესჯერდა ასულსა სიტყვათა ზედა ტკბილებსა, უკვდავერისა ბაგესა აკოცა თეთრსა კბილებსა. „რამც ეცოდინოს ყმაწვილსა, ჯერ ვარდასა გაუშლილებსა!“ ქმართან ამართლა, ეტყოდა: „ნულარ ვღვრით ცრემლთა მიღებსა!“



ჩინეთის იმპერატორი იუანშიკაი.

განთიადის ჯამს

(სურათი)

ბადრი მთვარე საქართველოს ცას ეთხოვებოდა და შავი ზღვის გასწვრივ თან და თან მკრთალ ბურუსში ეხვევოდა...

აღმოსავლეთით მყინვარის წვერზე ცისკრის ვარსკლავი ამოციმციმდა... ბუნება შეკრთა... რალაც ნეტარებით გაეყოლა.

ახლად ამოსული ვარსკლავი ციმციმებდა... ილიმებოდა... სხვანი-კი ცის სივრციდან ჰქრებოდნენ... იმალებოდნენ.

ეს ვარსკლავი ნიშანია გათენებისა... ამ ცოცხალ ვარსკლავს თან ამოსდევს რალაც უჩინარი სიცოცხლე ბუნებისა...

ეს ვარსკლავი მედროშეა კეთილ, ნათელ ღმერთთა რაზმისა... ის უძღვის წინ სინათლეს და სიბნელისაგან დამონებულ დედა-მიწას უყივის:

„აღსდევ სოფელო, ნუ გძინავს, სინათლემ სძლია სიბნელეს“...

მთის თავისუფალი შვილი სიო კეკელუცად დასრიალებს, კავკასიონს ჰალარა თმას უფარცხნის... მზის ოქროს გვირგვინის დასადგმელად აშხადებს... ულრან ტყეს აშრიალებს... ყოველივეს ტკბილ ჩურჩულით ეუბნება: „გაიღვიძეთ... აღზღვიეთ“.

იქ სალი კლდე შეერხა და წიფიწიფი დაიდან მონახეთქი ქვა დააგორა უფს-კრულისაკენ, გააღვიძა ნადირნი... შეაკრთო თვისი ლაღი შვილნი ჯიხენი და არჩენი...

იქ მოსწყდა მაღალ მთას ყინულის ნამსხვრევი, შეუერთდა წყლის ჩანჩქერ... დაღნა... წყალ-ქაფად იქცა.

იქ ბარად წალკოტნი ამუსიკდნენ... ბულბულმა შეიფთხრიალა... ვარდის მკერდისკენ გაეშურა... მერცხალი ყელს იღერებს... ცის სივრცეში გასაფრენად ეშხადება...

იქ ოქროს ყანა აბიბინდა... აღელდა, ტალღა ტალღას მიაჯახა.

იქ მტკვარმა შესწყვიტა ღამის სევდიანი ჰანგები... და აბუტბუტდა, აშრიალდა.

იქ შავ ზღვამ მკერდი გაიპო და მთვარის ჩასანთქმელად მოემზადა...

მაგრამ... ცაზე?.. შეხეთ! ცა აცოცხლებს დედამიწას... დასავლეთისკენ, ვით ზღვის მღელვარე მკერდში, მკრთალად, უსიცოცხლოდ მოსჩანს მთვარე. ის უკვე ეშვება შავ ზღვაში მქრალ კელაპტარის სახით...

აღმოსავლეთისკენ ცის სივრცეში ღრუბელით ნაკვეთები სისხლის ფრად იღებებიან... რალაც ცეცხლის სვეტი იმართება მთების გადაღმიდან...

ცისკრის ვარსკლავი თანდათან ეხვევა წითელ სტიქიის ცეცხლში... მაგრამ... ჩუ!.. იგი შეფრთხილდა... მოსწყდა ცას და შთაინთქა სადღაც...

გადაეშვა მთვარეც შავ ზღვაში... გაქრა სუსტი კოცონი დასავლეთისკენ... მხოლოდ, შეხეთ!.. კავკასიონს ოქროს გვირგვინი თავს დაეხურა...


მყინვარის მწვერვალადან ამოზიდული მზის სხივები გადაეშვა კავკასიონზე და ნათელის სხივებით შეღება მისი ტურფა გულ-მკერდი...

მთის თავისუფალი მეუფე, ორბი სიდიადით შეფრთხილდა, ფრთა-ფრთას შემოჰქრა, ტყლაშუნით ცის სივრცისაკენ გაექანა და მზის სხივებს შეუშვირა მედიდური მკერდი...

გადაეხადა ღამის ჩადრი კავკასიონს...

აჰა, იხილეთ ედემი მშვენებით სავსე...

ამბროსი პირველი.



სოციალ-დემოკრატიის ორ ფრაქტზე.

- შენთვის მამული მიჩუქებია!
- მეღა?
- შენთვისაც მიჩუქებია!



ვილსონი და ვილჰელმი.

ვილსონი კაიჯერ! იმედია, ნოტაზე პასუხს გამცემი!
ვილჰელმი: ინებეთ!



ნეიტრალ სახელმწიფოს ბეწვის ხიდი.